საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება № 01-01/25

ქ. თბილისი 25.12.2024 წ.

„2024 წელს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების შესახებ“ 2023 წლის 28 დეკემბრის №01-01/16 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში - „ობსერვატორია“) წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ და „ტ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და ობსერვატორიის დირექტორის მოადგილის, ბ. ჩარგეიშვილის მოხსენებითი ბარათის (№1657104, 25.12.2024 წ.) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „2024 წელს სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2023 წლის 28 დეკემბრის №01-01/16 ბრძანებაში, კერძოდ, მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან და მოქმდებს ობსერვატოორიის დირექტორის მიერ მოცემულ საკითხზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის ახალი წესით, ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით, გადაწყვეტილების მიღებამდე ვადით.“

2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გამოცხადდეს საჯაროდ.
3. ბრძანება ძალაშია მისი გამოცემის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი **რევაზ ჭანიშვილი**